



ევროკავშირში გაწევრიანების ბალკანური გამოცდილება

პოლიტიკის დოკუმენტი

ავტორები: გიორგი გოგუაძე; გოგი ზოიძე

რედაქტორი: პაატა გაფრინდაშვილი

პოლიტიკის დოკუმენტი გამოცემულია ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" ფინანსური მხარდაჭერით. ავტორთა მიერ დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

შესავალი

საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე მნიშვნელოვანია კარგად იყოს შესწავლილი იმ სახელმწიფოთა გამოცდილება, რომლებიც დღეს ოფიციალურად სარგებლობენ კანდიდატი¹ და პოტენციური კანდიდატი² ქვეყნის სტატუსით. აღნიშნული საკითხის სიღრმისეული ანალიზი ასევე, დაგეხმარება საგზაო რუკის (roadmap) შემუშავებაში, რომელშიც საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების საბოლოო მიზანთან დაახლოების საფეხურები და მოვლენათა განვითარების შესაძლო სცენარები უნდა აისახოს. შესაბამისი გამოცდილების გაზიარების გზით, საქართველო უკეთ შეძლებს არსებულ გამოწვევებთან გამკლავებას და მაქსიმალურად აითვისებს ევროინტეგრაციის პროცესის წარმატებულ “რეცეპტებს“.

დღეისათვის ევროკავშირში ოფიციალურად გაწევრიანების პერსპექტივის მქონე ქვეყნების ჩამონათვალი შემდეგნაირად გამოიყურება:

- 1) **კანდიდატი სახელმწიფოები:** ალბანეთი, ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია (შემდგომში მაკედონია), მონტენეგრო, სერბეთი და თურქეთი;
- 2) **პოტენციური კანდიდატები:** ბოსნია და ჰერცეგოვინა, კოსოვო.³

კვლევის ფარგლებში დოკუმენტი შეგნებულად უვლის გვერდს თურქეთის გამოცდილებაზე საუბარს. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირისათვის თურქეთი მნიშვნელოვან სახელმწიფოს წარმოადგენს, უკანასკნელი პერიოდის კრიზისი ორმხრივ ურთიერთობებში ბუნდოვანს ხდის ანკარის ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესს. 2017 წლის 16 აპრილის რეფერენდუმის შედეგად, თურქეთში პოლიტიკური ძალაუფლების კონცენტრირება ერთი პირის გარშემო მოხდა, რაც ავსტრიის კანცლერის შეფასებით შესაძლოა თურქეთის ‘ევროპული მომავლის დასამარების’ საფუძველი გახდეს.⁴ მიუხედავად იმისა, რომ დღემდე თურქეთს ევროკავშირთან მოლაპარაკებების 15 თავი

¹ ქვეყანა, რომელსაც ევროპული კომისიის დასკვნის საფუძველზე ევროპული საბჭოს მიერ მიენიჭა კანდიდატის სტატუსი და მზადაა დაიწყოს ფორმალური მოლაპარაკებების ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე

² ქვეყანა, რომელსაც აქვს ევროკავშირში გაწევრიანების დაპირება ე.წ. ევროპული პერსპექტივა, თუმცა ჯერ არ მიუღია კანდიდატის სტატუსი

³ EU Commission, Enlargement-candidate and potential candidates. Last updated April, 2017. ხელმისაწვდომია: <http://ec.europa.eu/environment/enlarg/candidates.htm>

⁴ How Turkey might have ruined its relationship with the EU. CNBC. 2017. ხელმისაწვდომია: <https://www.cnbc.com/2017/04/20/how-turkey-might-have-ruined-its-relationship-with-the-eu.html>

აქვს გახსნილი⁵, გაწევრიანების მიმართ ევროკავშირის რიგი სახელმწიფოები კვლავ ინარჩუნებენ სკეპტიკურ დამოკიდებულებას. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის, ზიგმარ გაბრიელის განცხადებით, ბრექსიტის შემდეგ ბრიტანეთთან მიღწეული შეთანხმება შესაძლოა, თურქეთთან ურთიერთობის საუკეთესო მოდელი იყოს ⁶. საფრანგეთის პრეზიდენტის, ემანუელ მაკრონის თქმით კი, არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, დღეისათვის თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივა არ არსებობს⁷.

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტით ჩვენ მიზანად ვისახავთ საქართველოს ევროპის კავშირში გაწევრიანების გზაზე, ეფექტური ნაბიჯების დასაგეგმად (მათ შორის, საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების საგზაო რუკის შემუშავების კონტექსტში) ბალკანური ქვეყნების გამოცდილების შეფასებას.⁸

მეთოდოლოგია

პოლიტიკის დოკუმენტი მომზადდა 2017 წლის სექტემბერში და ეყრდნობა თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიას, კერძოდ, კი ავტორებმა გამოიყენეს დისკურსის ანალიზი, რაც ტექსტობრივი მასალის დეტალურ განხილვას გულისხმობს.

დოკუმენტის შემუშავებისთვის საჭირო ინფორმაცია სამაგიდე კვლევის ფარგლებში დაგროვდა და ეფუძნება ლიტერატურის ფართო მიმოხილვას. ყურადღება გამახვილდა ევროპარლამენტის პოლიტიკის დეპარტამენტის მიერ შემუშავებულ კვლევებსა და რეკომენდაციებზე, ასევე, ევროკომისიის დასკვნებზე, სხვადასხვა მკვლევარისა თუ საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ გამოცემულ სტატიებზე. დოკუმენტის დასკვნით

⁵ ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/countries/detailed-country-information/turkey_en

⁶ Brexit deal could be template for EU ties to Ukraine, Turkey, Germany's Gabriel says: ხელმისაწვდომია: <https://www.reuters.com/article/us-britain-eu-turkey-ukraine/brexit-deal-could-be-template-for-eu-ties-to-ukraine-turkey-germanys-gabriel-says-idUSKBN1EK00L>

⁷ Macron tells Erdogan: No chance of Turkey joining EU. ხელმისაწვდომია: <http://www.bbc.com/news/world-europe-42586108>

⁸ European Neighbourhood Policy and Enlargement Negotiations, EC, Membership Status of Croatia. Last updated in 2016. ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/countries/detailed-country-information/croatia_en

ნაწილში მოცემულია რეკომენდაციები, რომელიც კვლევის შედეგად გამოვლენილი მიგნებებისა და დასკვნების შედეგად შემუშავდა.

დასავლეთ ბალკანეთის ევროპული გზა

საქართველოს მსგავსად, დასავლეთ ბალკანურ სახელმწიფოებსაც საკუთარი საგარეო პოლიტიკის განსაზღვრა და სახელმწიფოებრიობის მშენებლობა სისხლიანი დაპირისპირებებისა და ომების პარალელურად მოუხდათ. იუგოსლავიის დაშლის მტკივნეულმა პროცესმა და 90-იან წლებში რეგიონში არსებულმა კონფლიქტებმა, დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებს ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე არაერთი დაბრკოლება შეუქმნა.

დასავლეთ ბალკანეთში ბოლო ათწლეულებია რაც მშვიდობა დამყარდა, თუმცა რეგიონი და მასში შემავალი სახელმწიფოები კვლავ დგანან მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე. გადაუჭრელ პრობლემად რჩება კოსოვოს საკითხიც, რაც აფერხებს ამ უკანასკნელს (დღემდე ევროკავშირს სახელშეკრულებლო ურთიერთობები საერთო კონსენსუსით არ აქვს დამყარებული კოსოვოსთან, რადგან ხვდება 5 წევრი ქვეყნის - ესპანეთის, სლოვაკეთის, საბერძნეთის, კვიპროსისა და რუმინეთის - წინააღმდეგობას) ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე.

მიუხედავად ამისა, კანდიდატი და პოტენციური კანდიდატი ქვეყნები მეტ-ნაკლები წარმატებით ცდილობენ დემოკრატიული პროცესების კონსოლიდაციას, უწყვეტი რეფორმების გატარებასა და ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებას. 2003 წლის თესლონიკის სამიტზე, ევროპული საბჭოს დეკლარაციაში ხაზგასმით წერია, რომ „ბალკანური სახელმწიფოების მომავალი ევროკავშირში“.⁹ ამ განცხადებამ განამტკიცა 2000 წლის ფეირას ევროპული საბჭოს შეხვედრის დასკვნა, სადაც ბალკანეთის ქვეყნებს პოტენციური კანდიდატობა - ევროპული პერსპექტივა მიენიჭათ.¹⁰

მანამდე, 1999 წელს, ევროკავშირმა დასავლეთ ბალკანეთის სახელმწიფოებისათვის აამოქმედა სტაბილიზაციისა და ასოცირების პროცესი (SAP). ეს უკანასკნელი წარმოადგენს ევროკავშირის პოლიტიკასა და ხედვას დასავლურ ბალკანური სახელმწიფოებისადმი,

⁹ Conclusions of the Presidency, European Council in Thessaloniki, 2003. ხელმისაწვდომია: <http://www.consilium.europa.eu/media/20825/78364.pdf>

¹⁰ Conclusions of the Presidency, European Council in Santa Maria de Feira, 2000. ხელმისაწვდომია: http://www.europarl.europa.eu/summits/fei1_en.htm

რომელიც ამ ქვეყნების საბოლოო გაწევრიანებასა და ევროკავშირთან ყოვლისმომცველ დაახლოებას გულისხმობს. SAP-ი რამდენიმე ძირითადი კომპონენტისგან შედგება:

- სტაბილიზაციისა და ასოცირების შეთანხმებები** - რომლის მიზანია ბალკანურ სახელმწიფოებში კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებათა დაცვის, დემოკრატიული პრინციპებისა და ეკონომიკური კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაცია;¹¹
- სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავება** - იგივე ავტონომიური სავაჭრო მექანიზმების განხორციელება, რაც გულისხმობს, რომ დასავლურ ბალკანურ ქვეყნებს შეეძლოთ საკუთარი პროდუქტის ევროკავშირის ბაზარზე ყოველგვარი საბაჟო რეგულაციებისა და რაოდენობრივი შეზღუდვების გარეშე შეტანა (მცირე გამონაკლისების გარდა);¹²
- ფინანსური დახმარება** - 2007 წლიდან, დღევანდელი როგორც კანდიდატი, ასევე პოტენციური კანდიდატი ქვეყნები იღებენ ევროკავშირისგან ფინანსურ დახმარებას, გაწევრიანებამდელი დახმარების ინსტრუმენტის (Instrument for Pre-Accession Assistance-IPA) ფარგლებში. 2007-2013 წლებში, IPA-ს ფარგლებში სხვადასხვა სექტორის, მათ შორის სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობის, რეგიონული განვითარების, ადამიანური რესურსის გაძლიერების, სოფლის მეურნეობის მოდერნიზების მიმართულებით 11.5 მილიარდი ევრო დაიხარჯა. 2014 წლიდან IPA განახლდა და ცნობილია როგორც IPA II, რომელიც 2020 წლამდე მიზნად ისახავს გაწევრიანების მომლოდინე ქვეყნებში დემოკრატიის, ადამიანის უფლებების, კონკურენციის გაზრდისა და სხვადასხვა სექტორალური მიმართულებით 11.7 მილიარდი ევროს დახარჯვას;¹³
- რეგიონული თანამშრომლობა და კარგი სამეზობლო ურთიერთობების განვითარება** - ევროკავშირისათვის ბალკანეთის რეგიონში სტაბილურობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება სტრატეგიული ამოცანაა. ურთიერთთანამშრომლობა გაწევრიანების პროცესში ერთ-ერთი მთავარი ელემენტია. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი

¹¹ European Commission - Enlargement - Stabilisation and Association Process, last updated in 2016.

ხელმისაწვდომია:

https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/policy/glossary/terms/sap_en

¹² Autonomous trade measures, European Commission - Enlargement - Autonomous trade measures. Last updated in 2016

¹³ Instrument for Pre-Accession Assistance, European Neighbourhood Policy and Enlargement Negotiations. 2016.

ხელმისაწვდომია:

https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/instruments/overview_en

დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებთან ინდივიდუალურ დიალოგსა და მოლაპარაკებებს აწარმოებს, რეგიონული კონტექსტი გაწევრიანების გზაზე მნიშვნელოვანია.

2017 წლის 3 ივლისს, ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა, ფედერიკა მოგერინიმ კიდევ ერთხელ დაადასტურა ეს პოლიტიკა, როდესაც სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის თანამშრომლობის პროცესის სამიტზე აღნიშნა, რომ ექვსივე ბალკანური ქვეყნის მომავალი ევროკავშირშია.¹⁴ ევროკომისიის დასავლეთ ბალკანეთის სტრატეგიის დრაფტის მიხედვით, რომელიც 2018 წლის 6 თებერვალს უნდა გამოქვეყნდეს, სერბეთი და მონტენეგრო, შესაბამისი რეფორმების გატარების შემდეგ, 2025 წლისათვის შეძლებენ ევროკავშირში გაწევრიანებას,¹⁵ ხოლო რეგიონის სხვა სახელმწიფოები კიდევ უფრო დაუახლოვდებიან ამ მიზანს. უნდა აღინიშნოს, რომ სტრატეგიაში მითითებული თარიღები ინდიკაციურია (ისინი შეიძლება შეიცვალოს) და გაცხადებული მიზნების მითითებულ ვადებში ან უფრო ადრე განხორციელება დამოკიდებული იქნება ძლიერ პოლიტიკურ ნებაზე, რეალური რეფორმების განხორციელებაზე და მეზობლებთან არსებული უთანხმოებების საბოლოო მოგვარებაზე.

პოლიტიკის დოკუმენტის შემდეგი ქვეთავები დაეთმობა კანდიდატი და პოტენციური კანდიდატი ქვეყნების ინდივიდუალურ განხილვას და მის ანალიზს საქართველოსთვის რელევანტური მიმართულებით.

მაკედონია

ევროკავშირში გაწევრიანება, მაკედონიის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. მაკედონია არის პირველი სახელმწიფო ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, რომელმაც ხელი მოაწერა სტაბილიზაციისა და ასოცირების შეთანხმებას 2001 წლის 9 აპრილს ლუქსემბურგში, რომელიც სრულად ძალაში 2004 წლის პირველი აპრილიდან შევიდა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სანამ ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფო

¹⁴ Mogherini reaffirms EU commitment to European perspective of Western Balkans, 2017. ხელმისაწვდომია: https://eeas.europa.eu/headquarters/headquarters-homepage_en/29172/Mogherini%20reaffirms%20EU%20commitment%20to%20European%20perspective%20of%20Western%20Balkans

¹⁵ EU: Serbia, Montenegro 'Could Join In 2025' ხელმისაწვდომია: <https://www.rferl.org/a/eu-western-balkans-strategy-bosnia-kosovo-macedonia-montenegro-serbia/28976883.html>

შეთანხმების რატიფიცირებას მოახდენდა, 2004 წლის 22 მარტს მაკედონიამ ევროკავშირის წევრობაზე გააკეთა განაცხადი.¹⁶ 2004 წლის 17 მაისს, საბჭომ დაავალა კომისიას მოსაზრების შემუშავება მაკედონიასთან დაკავშირებით. 1 ოქტომბერს კი რომანო პროდი, ევროკომისიის პრეზიდენტი, თავად ესტუმრა სკოპიეს, რათა კითხვარი (questionnaire) გადაეცა მთავრობისათვის. 2005 წლის თებერვალში მაკედონიამ დაასრულა კითხვარზე პასუხის გაცემა და უკვე ნოემბერში, კომისიის დადებითი შეფასებისა და რეკომენდაციის შედეგად, საბჭომ ქვეყანას კანდიდატის სტატუსი მიანიჭა.

2004 წლის 6 სექტემბერს, მაკედონიის ხელისუფლებამ დაამტკიცა „*მაკედონიის რესპუბლიკის ევროინტეგრაციის ეროვნული სტრატეგია*“.¹⁷ სტრატეგიის ძირითად ამოცანას კოპენჰაგენის კრიტერიუმებთან ქვეყნის პოლიტიკური, საკანონმდებლო და საბაზრო ეკონომიკის დაახლოება წარმოადგენდა. სტრატეგიაში ჩამოყალიბდა ის ძირითადი ხედვა და სამუშაო გეგმა, რითაც უნდა ემუშავა სკოპიეს ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე. ყურადღება დაეთმო სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებას, საჯარო ადმინისტრაციისა და სასამართლოს რეფორმას, ისევე, როგორც მდგრადი საბაზრო ეკონომიკისა და კონკურენტული გარემოს შექმნის აუცილებლობას. სტრატეგიული დოკუმენტი ასევე, მოიცავდა იმ პრინციპებსა და მიდგომებს, რომლის გამოყენებითაც უნდა განხორციელებულიყო რეფორმები სხვადასხვა საკვანძო მიმართულებით.

2006 წლიდან მაკედონიას ასევე გააჩნია „*ევროკავშირის წესებისა და კანონების ერთობლიობის* (იგივე *acquis communautaire*) *მიღების ეროვნული პროგრამა*“ (NPAA), რომლის შემუშავებაც ევალეზა ევროკავშირის წევრობის ყველა კანდიდატ სახელმწიფოს¹⁸. NPAA არის სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს *acquis communautaire*-ს მიღების დინამიკას, გაწევრიანებისათვის საჭირო რეფორმებსა და აღებული ვალდებულებების შესრულების განრიგს.¹⁹

¹⁶ The Former Yugoslav Republic of Macedonia, European Neighbourhood Policy and Enlargement Negotiations. Last updated in 2016

https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/countries/detailed-country-information/former-yugoslav-republic-of-macedonia_en

¹⁷ National Strategy for EU integration of the Republic of Macedonia, Skopje. September 2004. ხელმისაწვდომია:

http://www.sobranie.mk/WBStorage/Files/National_strategy%2006.09.2004.PDF

¹⁸ European Commission - Enlargement - Accession partnership. ხელმისაწვდომია:

https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/policy/glossary/terms/accession-partnership_en

¹⁹ NPAA. ხელმისაწვდომია:

<http://www.sep.gov.mk/en/content/?id=13#.WZvdD1UjHIV>

2008 წლის პირველ იანვარს, ევროკავშირმა მაკედონიასთან დაიწყო მოლაპარაკებები ვიზა ფასილიტაციასთან დაკავშირებით და 2009 წელს მიიღო შენგენის სივრცეში უვიზო მიმოსვლით სარგებლობის საშუალება. იმავე წელს, კომისიამ გამოაქვეყნა რეკომენდაცია, რომლის მიხედვით, ევროკავშირს უნდა გაეხსნა გაწევრიანების მოლაპარაკებების თავები მაკედონიისთვის. 2016 წლამდე, მსგავსი 4 ტიპის რეკომენდაცია გაეწია მაკედონიას²⁰, თუმცა ჯერ-ჯერობით ოფიციალური პროცესი არ დაწყებულა. რა აბრკოლებს სკოპიეს მოლაპარაკებების გახსნის გზაზე?

ქ) 2016 წლის 9 ნოემბერს, ევროკომისიამ გამოსცა ანგარიში მაკედონიის ევროინტეგრაციისა და მასთან არსებული გამოწვევების შესახებ. ამ მხრივ რამდენიმე ძირითად საკითხს უნდა გავუსვათ ხაზი: ა) უკანასკნელი წლების პოლიტიკური კრიზისი მაკედონიაში სერიოზულ წინაღობად რჩება მოლაპარაკებების დაწყების გზაზე. 2016 წლის ვადამდელმა საპარლამენტო არჩევნებმა წარმოშვა კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბების პრობლემა, რომელიც მეტნაკლებად გადაიჭრა 2017 წლის 1 ივნისს, როდესაც დამტკიცდა ახალი მთავრობა. წარსულში ოპოზიციის ლიდერი ზაევი ამჟამად სოციალ-დემოკრატებისა და ეთნიკური ალბანელების ორი პარტიის მონაწილეობით, სამწევრიან კოალიციას ხელმძღვანელობს. სწორედ ასეთი შემადგენლობის კოალიციის შექმნის შესახებ წინადადებას მოჰყვა მაკედონიელი ნაციონალისტების გამოსვლები, რომელიც რამდენიმე თვე გაგრძელდა და მიმართული იყო ალბანური ენის სტატუსის გაუმჯობესების გეგმის წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის 25% ალბანურ ენაზე საუბრობს და ამ მხრივ, ეთნიკური უმცირესობის შეზღუდვა ავტომატურად ზრდის დაპირისპირების რისკებს. ბ) საჯარო ადმინისტრაციისა და სასამართლოს რეფორმის კუთხით, მაკედონიის მზაობა არ არის დამაკმაყოფილებელი. ევროკომისიის დასკვნაში ასევე აღნიშნულია, რომ საჯარო ადმინისტრაციის სტრატეგიის დაგვიანებით შემუშავებამ, პოლიტიკური პასუხისმგებლობის ნაკლებობამ საჯარო სექტორის რეფორმის მიმართულებით გამოიწვია ევროკავშირის დახმარების შემცირება. კორუფციის მაღალ დონესა და ამ

²⁰ The Former Yugoslav Republic of Macedonia and the EU. ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/countries/detailed-country-information/former-yugoslav-republic-of-macedonia_en


მხრივ გადადგმული ნაბიჯების არაეფექტურობასაც დიდი ადგილი ეთმობა ანგარიშში²¹.

) იუგოსლავიის დაშლამ გამოიწვია მრავალმხრივი დებატები სახელწოდება „მაკედონიის“ გამოყენებასთან დაკავშირებით. დაპირისპირებული მხარეები აღმოჩნდნენ საბერძნეთი და ახლად ჩამოყალიბებული მაკედონიის რესპუბლიკა, რომელიც მანამდე იუგოსლავიის სოციალისტური რესპუბლიკის ფედერალურ სუბიექტს წარმოადგენდა. სკოპიესათვის, მაკედონიის სახელის ირგვლივ არსებული პრობლემა სერიოზული წინაღობაა ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე, განსაკუთრებით როდესაც სხვადასხვა პროცესის დაწყებისათვის საბერძნეთის, როგორც წევრი ქვეყნის თანხმობაა საჭირო. საბერძნეთი წინააღმდეგია იმისა, რომ მაკედონიის რესპუბლიკამ გამოიყენოს დასახელება - მაკედონია, თუკი ის თან არ დაურთავს გეოგრაფიულ განმსაზღვრელს, მაგალითად - "ჩრდილოეთ მაკედონია" ან "ზემო მაკედონია". ბერძნები თვლიან, რომ მაკედონიის რესპუბლიკა ითვისებს და იყენებს ისეთ სიმბოლიკას, რომელიც წარმოადგენს ბერძნული კულტურის ნაწილს, მაგალითად, ვერგინას მზე (რომელიც გამოსახულია დროშაზე) ან ალექსანდრე მაკედონელი. დღეისათვის, ევროკავშირი, თავის ოფიციალურ კორესპონდენციაში იყენებს ტერმინს „იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკა მაკედონია“.

აღსანიშნავია, რომ ევროკომისიის დასავლეთ ბალკანეთის სტრატეგიის დრაფტის მიხედვით, ევროკავშირმა შესაძლოა, მაკედონიასთან გაწევრიანების მოლაპრაკებები 2019 წლისათვის გახსნას, იმ შემთხვევაში, თუკი მოხერხდება ქვეყნის სახელთან დაკავშირებით მაკედონიასა და საბერძნეთს შორის პროგრესის მიღწევა.

²¹ The former Yugoslav Republic of Macedonia 2016 Report. ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/sites/near/files/pdf/key_documents/2016/20161109_report_the_former_yugoslav_republic_of_macedonia.pdf

მაკედონიის ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესი



მაკედონიის გამოცდილებით შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველო დღეს თვისობრივად უფრო მაღალ საფეხურზე დგას ევროკავშირთან ინსტიტუციური ურთიერთობების თვალსაზრისით, ვიდრე მაკედონია 2004 წლის მარტში იმყოფებოდა, ევროკავშირის წევრობაზე განაცხადის გაკეთებისას. ჩვენ გვაქვს სრულად ამოქმედებული ასოცირების შეთანხმება, გარდა ამისა, 2017 წლის მარტიდან საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ შენგენის ზონაში უვიზო გადაადგილება, რაც ვიზაფასილიტაციისა და ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში გაწეული რეფორმების შედეგი იყო. ის, რაც მაკედონიამ განაცხადის შეტანისა და კანდიდატი ქვეყნის სტატუსით სარგებლობის განმავლობაში მიიღო (უვიზო მიმოსვლა, ასოცირების შეთანხმება და სხვა), საქართველოს უკვე მიღწეული აქვს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სკოპიემ 2004 წლიდან დიდი ყურადღება დაუთმო სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებასა და გაწევრიანების გზამკვლევის, სამოქმედო რუკის შემუშავებას, რომელმაც ევროინტეგრაციის პროცესი უფრო მეტად სტაბილური და მიზანმიმართული გახადა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ქვეყნის შიდა პოლიტიკური უსაფრთხოება და სტაბილურობა, კანონის უზენაესობა და ინსტიტუტების სიძლიერე ევროინტეგრაციის გზაზე წარმატების მიღწევის ქვაკუთხედი გახლდათ.

მონტენეგრო

2006 წლის 21 მაისს, მონტენეგრომ რეფერენდუმის შედეგად დამოუკიდებლობა გამოაცხადა. 13,812 კვადრატული კილომეტრისა და 630,000 მოსახლეობის მქონე ახალგაზრდა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური არჩევანიც ევროკავშირში გაწევრიანებას წარმოადგენდა. იმავე წლის დეკემბერში, ევროპულმა საბჭომ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ დასავლეთ ბალკანეთის სახელმწიფოების მომავალი ევროკავშირშია და მათ გააჩნიათ ევროპული პერსპექტივა.²² ევროკავშირისა და მონტენეგროს ურთიერთობები სწრაფი ტემპით განვითარდა. 2007 წელს მონტენეგრომ ხელი მოაწერა სტაბილიზაციისა და ასოცირების შეთანხმებას, რომელიც ძალაში სრულად 2010 წელს შევიდა.²³

ქვეყანამ ევროკავშირს წევრობაზე 2008 წლის 15 დეკემბერს მიმართა, ხოლო კომისიას საკუთარი მოსაზრების შემუშავება მინისტრთა საბჭომ 2009 წლის 15 აპრილს დაავალა.²⁴ 2008 წლის აპრილში, მონტენეგრომ შეიმუშავა „ევროკავშირში ინტეგრაციის ეროვნული პროგრამა“ (2008-2012 წლებისთვის).²⁵ 700-მდე გვერდიანი დოკუმენტი მიზნად ისახავდა განესაზღვრა მონტენეგროს ძირითადი ხედვა და პოლიტიკა რეფორმების გატარებისა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების კუთხით. გაწევრიანების ეროვნულმა პროგრამამ ჩამოაყალიბა დეტალური დღის წესრიგი კანონმდებლობის ჰარმონიზაციისა და ინსტიტუციური განვითარების კუთხით. დოკუმენტი ექვსი ძირითადი თავისგან შედგება და სიღრმისეულად ანალიზებს:

- ⌋ გაწევრიანების პოლიტიკურ კრიტერიუმს;
- ⌋ გაწევრიანების ეკონომიკურ კრიტერიუმს;
- ⌋ ვალდებულებათა აღების შესრულების შესაძლებლობებს;
- ⌋ Acquis-ის შესრულების ადმინისტრაციულ და იურიდიულ შესაძლებლობებს;
- ⌋ ვალდებულებათა შესრულების ფინანსურ შესაძლებლობებს;

²² Commission Opinion on Montenegro's application for membership of the European Union. ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/sites/near/files/pdf/key_documents/2010/package/mn_opinion_2010_en.pdf

²³ ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/countries/detailed-country-information/montenegro_en

²⁴ Ibid.

²⁵ National Program for Integration of Montenegro into the EU (NPI) for the Period 2008-2012. ხელმისაწვდომია: http://www.esiweb.org/pdf/montenegro_National%20Program%20for%20Integration%202008%202012.pdf

ინტეგრაციის ეროვნული პროგრამა გახლდათ ინკლუზიური დოკუმენტი, რომლის მომზადებაშიც ჩართული იყო დაახლოებით 400 საჯარო მოხელე სახელმწიფო ადმინისტრაციის ყველა იმ ორგანოდან, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ინტეგრაციის პროცესთან. დოკუმენტი ქმნიდა საფუძველს ევროკავშირში გაწევრიანების სამომავლო მოლაპარაკებებისათვის და წარმოადგენდა სხვადასხვა ინსტიტუტის კოორდინირებისა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის საბაზისო ინსტრუმენტს.

2010 წლის 9 ნოემბერს კომისიამ დადებითი დასკვნა გამოაქვეყნა მონტენეგროსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით. ეს უკანასკნელი ოფიციალურად კანდიდატი სახელმწიფო 2010 წლის დეკემბერში გახდა, მანამდე კი შეძლო უვიზო რეჟიმის ამოქმედება. მაკედონიისგან განსხვავებით, მონტენეგრო გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების დაწყების პროცესში არ წააწყდა პოლიტიკურ წინააღმდეგობას წევრი სახელმწიფოების მხრიდან. 2012 წლიდან დღემდე, უკვე “acquis communautaire-ს” 35 თავიდან 30 გაიხსნა, ხოლო აქედან სამი თავზე სრულად დასრულდა მოლაპარაკებები).²⁶

აღსანიშნავია, რომ ევროკომისიის დასავლეთ ბალკანეთის სტრატეგიის დრაფტის მიხედვით, 2023 წლისთვის მონტენეგროსთან გაწევრიანების მოლაპარაკებების დასრულებაა ნავარაუდები.

ინტეგრაციის ეროვნული პროგრამის გარდა, კანდიდატის სტატუსით განსაზღვრული პირობის შესაბამისად, ქვეყანამ ასევე, შეიმუშავა „მონტენეგროს ევროკავშირში გაწევრიანების პროგრამა 2014-2018“; სადაც acquis communautaire-ს თითოეული თავის მიხედვით გაანალიზებულია ის რეფორმები, რომელთა გატარებაც აუცილებელია ქვეყნის კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციისათვის²⁷.

მონტენეგრომ ასევე, შეიმუშავა „საზოგადოების ინფორმირების სტრატეგია მონტენეგროს ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ 2014-2018“.²⁸ დოკუმენტი სიღრმისეულად

²⁶ ხელმისაწვდომია: <http://www.delme.ec.europa.eu/code/navigate.php?id=56>

ავტორის შენიშვნა: ევროპის კავშირის წესებისა და კანონების ერთობლიობა. გამომდინარე იქედან, რომ ევროპის კავშირის acquis communautaire 100 000-ზე მეტი გვერდის მოცულობისაა, მოლაპარაკებების ფაზა გაწევრიანების პროცესში ყველაზე შრომატევადია. მოლაპარაკებების ხანგრძლივობა განსხვავებულია და რეფორმების გატარების ტემპზეა დამოკიდებული; რაც უფრო სწრაფად სრულდება ცალკეული თავების მოთხოვნები, მით უფრო ახლოვდება კანდიდატი ქვეყანა წევრობასთან.


²⁷ Relations between Montenegro and the EU. ხელმისაწვდომია:

<https://www.eu.me/en/montenegro-and-eu/montenegro-eu-relations>

²⁸ Strategy for Informing the Public about Montenegro's Accession to the European Union 2014-2018.

ხელმისაწვდომია:

ანალიზებს შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმებს, ეყრდნობა მოქმედებათა განვითარების სხვადასხვა სცენარს და ნათლად წარმოადგენს SWOT²⁹ ანალიზს. სტრატეგია 4 ძირითად მიმართულებას ავითარებს: 1) საზოგადოებისთვის ინფორმაციის უწყვეტი მიწოდება; 2) საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფში ევროკავშირთან დაკავშირებით განათლებისა და ცოდნის დონის ამაღლება; 3) ევროკავშირის სხვადასხვა პროგრამის წახალისება თუ ადვოკატირება; 4) საზოგადოების განწყობის მობილიზება ევროკავშირში გაწევრიანების პროცესში. მონტენეგრო ამ უკანასკნელს ყველაზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგან თვლის, რომ გაწევრიანების ბიუროკრატიულმა და ზოგ შემთხვევაში დამღლელმა პროცესმა შესაძლებელია საზოგადოების კეთილგანწყობა და ნდობა ევროკავშირისადმი შეასუსტოს.



მონტენეგროს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი

IPA II-ის ფარგლებში, მონტენეგროსთვის 2014-2020 წლებში გამოყოფილია 270 მილიონი ევრო, რაც ძირითადად ხმარდება დემოკრატიის, კარგი მმართველობის, ადამიანის უფლებების, კონკურენტული ბაზრის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და ინფრასტრუქტურის, განათლებისა და დასაქმების სფეროთა განვითარებას.³⁰

[http://www.mna.gov.me/ResourceManager/FileDownload.aspx?rid=274000&rType=2&file=Communication%20strategy%20ENG-%20FINAL\(1\).pdf](http://www.mna.gov.me/ResourceManager/FileDownload.aspx?rid=274000&rType=2&file=Communication%20strategy%20ENG-%20FINAL(1).pdf)

ავტორის შენიშვნა: მსგავსი ტიპის დოკუმენტი საქართველომაც შეიმუშავა, „ევროკავშირისა და ნატოში საქართველოს გაწევრების კომუნიკაციის შესახებ საქართველოს მთავრობის სტრატეგია 2017-2020“

²⁹ Strengths, weaknesses, opportunities, threats analysis (SWOT)

³⁰ Montenegro - financial assistance under IPA II. ხელმისაწვდომია:

https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/instruments/funding-by-country/montenegro_en

ალბანეთი

წინამდებარე კვლევის ერთ-ერთი მიზანია ასევე, მკითხველს მიაწოდოს ინფორმაცია, რომ ევროკავშირში გაწევრიანების სტრატეგიის შემუშავებისას, ერთი კონკრეტული და საუკეთესო რეცეპტი არ არსებობს - არც ის, თუ როდის არის განაცხადის შეტანა მიზანშეწონილი. ეს ყველაფერი დამოკიდებულია სახელმწიფოს ხედვასა და სამოქმედო გეგმაზე. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი ალბანეთია. თუ წინა ორ შემთხვევაში, მაკედონიამ და მონტენეგრომ სტაბილიზაციისა და ასოცირების შეთანხმების საბოლოო რატიფიცირებამდე, ასევე ვიზა ფასილიტაციის მიღებამდე შეიტანეს განაცხადი და მიიღეს კანდიდატის სტატუსი, ალბანეთის ევროპული ინტეგრაციის პროცესი შედარებით განსხვავებულად წარიმართა.

2006 წელს ალბანეთმა ხელი მოაწერა სტაბილიზაციისა და ასოცირების შეთანხმებას, ძალაში 2009 წლის პირველ აპრილს შევიდა. 2007 წლის პირველი იანვრიდან ალბანეთისთვის ხელმისაწვდომი გახდა IPA-ს მხარდაჭერა და ფინანსები, ხოლო 2009 წლის 24 აპრილს, ალბანეთმა ოფიციალურად გააკეთა განაცხადი წევრობაზე. 2010 წლისათვის კომისიამ წარმოადგინა დასკვნა, სადაც საბჭოს ამცნო 12 მნიშვნელოვან და კრიტიკულ საკითხებზე მუშაობის აუცილებლობა³¹, რომლის რეფორმის გარეშე ალბანეთი ვერ შეძლებდა სრულფასოვნად დაახლოებოდა ევროპულ სტანდარტებსა და მოთხოვნებს, შესაბამისად ვერც კანდიდატი ქვეყნის სტატუსს მიიღებდა. ძირითადად ეს საკითხები ფარავდა სასამართლო სისტემას, კოპენჰაგენის კრიტერიუმებთან თავსებადობას, საკანონმდებლო დაახლოების აუცილებლობას, საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დანერგვასა და მაკროეკონომიკურ სტაბილურობას. ალბანეთს სერიოზული გამოწვევები ჰქონდა სამივე სფეროში (პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი მიმართულებით). 2012 წლისათვის კომისიამ გაწეული სამუშაოს გაანალიზების შედეგად, დადებითი რეკომენდაცია გაუწია ალბანეთისთვის კანდიდატი წევრის სტატუსის მინიჭებას. საბჭომ ოფიციალურად კანდიდატის სტატუსი ალბანეთს 2014 წლის ივნისში მიანიჭა. იმისათვის, რომ მოლაპარაკებების თავები გაიხსნას, აუცილებელია ალბანეთმა საკუთარი ძალისხმევა მიმართოს დარჩენილი 5 პრიორიტეტული მიმართულების გაუმჯობესებისაკენ: 1) საჯარო ადმინისტრაციის რეფორმა; 2) კორუფციასთან ბრძოლა; 3)

³¹ ავტორის შენიშვნა: კომისია კანდიდატის სტატუსის მინიჭების შესახებ მხოლოდ დადებით ან უარყოფით დასკვნას არ აქვეყნებს. არსებობს შუალედური დასკვნაც, რომელშიც ასახულია ის რეკომენდაციები, რომელთა შესრულებასაც სავალდებულოა კანდიდატის სტატუსის მიღებისათვის.

ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა; 4) სასამართლო სისტემის გაუმჯობესება; 5) ფუნდამენტური უფლებების უზრუნველყოფა - სამართლიანობა, თავისუფლება და უსაფრთხოება.³²

აღსანიშნავია, რომ ევროკომისიის დასავლეთ ბალკანეთის სტრატეგიის დრაფტის მიხედვით, ევროკავშირმა შესაძლოა, ალბანეთთან გახსნას გაწევრიანების მოლაპარაკებები 2019 წლისათვის, თუკი ალბანეთს სერიოზული პროგრესი ექნება მართლმსაჯულების რეფორმირებაში.

კანდიდატის სტატუსის მინიჭებამდე, ჯერ კიდევ 2008 წელს, ალბანეთმა შეიმუშავა „განვითარებისა და ინტეგრაციის ეროვნული სტრატეგია“³³, რომლის ერთ-ერთი უმთავრესია მიზანი იყო ალბანეთის ევროკავშირთან დაახლოების ხელშეწყობა. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენდა რეფორმების გატარების სახელისუფლებო გეგმას ისეთი მიმართულებებით, როგორებიცაა კანონის უზენაესობა, დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება, ანგარიშვალდებულების გაზრდა, საბაზრო ეკონომიკის განვითარების და ა.შ.

კანდიდატის სტატუსის მინიჭების შემდეგ კი ალბანეთმა, მაკედონიისა და მონტენეგროს მსგავსად, დაამტკიცა „ევროპული ინტეგრაციის ეროვნული გეგმა 2014-2020“³⁴, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს ევროკავშირში გაწევრიანების როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან გეგმებს და ამოცანად ისახავს:

-)] სრულად მოხდეს ევროკავშირის საკანონმდებლო სისტემის შესწავლა და ანალიზი;
-)] ალბანურ კანონმდებლობაში ხარვეზების აღმოჩენა და მისი გამოსწორება ევროკავშირის საკანონმდებლო სისტემასთან ჰარმონიზაციის კუთხით;
-)] რეფორმების შესრულების შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმების შექმნა;
-)] ყოველწლიურად სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის გადახედვა და ოპტიმიზაცია;

³² Independent Analysis and Follow up of the EU Accession Progress Report of Albania, Institute for Democracy and Mediation. 2015. ხელმისაწვდომია:

http://ten.europeanpolicy.org/images/regional_analysis/albania.pdf


³³ National Strategy for Development and Integration 2007-2013. ხელმისაწვდომია:

<file:///C:/Users/user2%20F-G/Downloads/2198.pdf>

³⁴ National Plan for European Integration 2014-2020

2014-2020 წლებისთვის, ალბანეთი IPA II-ის ფარგლებში 649 მილიონი ევროს ოდენობის დახმარებას მიიღებს სექტორული რეფორმების გატარების მიმართულებით.

ალბანეთის ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესი



ალბანეთის ევროინტეგრაციის პროცესის მიმოხილვამ გვაჩვენა, რომ: 1) ის რაც ალბანეთს გამოსასწორებელ წინაღობად დაუსახეს (მაგ. მედიის თავისუფლება, ფუნდამენტური უფლებები, სასამართლო სისტემა) აუცილებლად დადგება დღის წესრიგში საქართველოსთანაც; ამრიგად, უკვე ნათელია თუ რა მიმართულებით გვაქვს მეტი სამუშაო გასატარებელი; 2) მეორე მნიშვნელოვანი საკითხი ალბანეთის შემთხვევის გაანალიზებისას არის ის, რომ ევროკომისია მოქნილია საკუთარი მოსაზრების დაფიქსირების დროს. მხოლოდ დადებითი ან უარყოფითი დასკვნა არ დევს მაგიდაზე, არამედ არის შუალედური, სარეკომენდაციო ხასიათის შეფასებაც, რომელიც ერთგვარი სახელმძღვანელოა ქვეყნისთვის, რომ მიზანმიმართულად გაატაროს რეფორმები კანდიდატის სტატუსის მისაღებად.

სერბეთი

ბელგრადისათვის ევროკავშირში გაწევრიანება სტრატეგიულ მიზნად უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე იქცა. შიდა უთანხმოებისა და კონსესუსის ნაკლებობის გარდა, ევროპული ინტეგრაციის გზაზე სერბეთისათვის მთავარ დაბრკოლებად ყოფილ იუგოსლავიასთან დაკავშირებით შექმნილი საერთაშორისო ტრიბუნალი წარმოადგენდა. ევროკავშირში ინტეგრაციის ყველა ინიციატივა თუ პროცესი წევრი ქვეყნების დიდ

წინააღმდეგობას აწყდებოდა მანამ, სანამ ბელგრადმა 2011 წელს საერთაშორისო ტრიბუნალს არ გადასცა რატკო მლადიჩი და გორან ჰაჯიჩი.³⁵ დღეისათვის, სერბეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ევროპის კავშირში სრული ინტეგრაციაა.

ასოცირებისა და სტაბილიზაციის შეთანხმების პროცესი 2006 წელს დაიწყო და საბოლოოდ ძალაში 2013 წელს შევიდა. მანამდე კი ბელგრადმა ოფიციალურად წევრობაზე განაცხადი 2009 წელს შეიტანა. თუმცა სანამ საერთაშორისო ტრიბუნალთან ბელგრადის თანამშრომლობა არ გააქტიურდა, ევროკომისიამ არ გამოაქვეყნა საკუთარი პოზიცია სერბეთთან დაკავშირებით. 2011 წლის ოქტომბერში კი, მას შემდეგ რაც დასრულდა ტრიბუნალთან დაკავშირებული პრობლემები, კომისიამ რეკომენდაცია გაუწია ბელგრადისათვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას. ოფიციალურად სერბეთი კანდიდატი ქვეყანა 2012 წლის 1 მარტს გახდა.³⁶ 2013 წლის სექტემბერში დაიწყო სერბეთის თავსებადობის ანალიზი acquis-თან მიმართებით (screening). დღეისათვის ბელგრადთან გახსნილია მოლაპარაკებების 8 თავი, ხოლო 2 თავზე (კვლევა, მეცნიერება და განათლება) მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა.³⁷

აღსანიშნავია, რომ სტრატეგიული დოკუმენტების თვალსაზრისით, სერბეთის შემთხვევა განსაკუთრებულია. ჯერ კიდევ 2005 წელს, როდესაც სერბეთი და მონტენეგრო ერთ სახელმწიფოში თანაარსებობდნენ, ბელგრადმა შეიმუშავა „სერბეთისა და მონტენეგროს ევროკავშირში გაწევრიანების ეროვნული სტრატეგია“³⁸, რომელმაც განსაზღვრა სტრატეგიული განვითარების მიზნები და საფუძველი ჩაუყარა წევრობის მომზადებისთვის საჭირო რეფორმებს.

2008 წელს, კანდიდატის სტატუსის მიღებამდე 4 წლით ადრე, სერბეთმა შეიმუშავა „ევროკავშირში ინტეგრაციის ეროვნული პროგრამა“. 900 გვერდიანი დოკუმენტი, რომლის შექმნაც კანდიდატ სახელმწიფოებს ევალებათ³⁹, ბელგრადმა წინასწარ წარმოადგინა იმ

³⁵ Ratko Mladic trial: Final arguments in Bosnia war crimes case, BBC. 2016. ხელმისაწვდომია:

<http://www.bbc.com/news/world-europe-38206471>

³⁶ Serbia, European Neighbourhood Policy And Enlargement Negotiations. ხელმისაწვდომია:

https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/countries/detailed-country-information/serbia_en

³⁷ Serbia 2016 Report, COMMISSION STAFF WORKING DOCUMENT, 2016. ხელმისაწვდომია:

https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/sites/nea/files/pdf/key_documents/2016/20161109_report_serbia.pdf

³⁸ National Strategy of Serbia for the Serbia AND Montenegro's Accession to the European Union. ხელმისაწვდომია:

http://www.mei.gov.rs/upload/documents/nacionalna_dokumenta/national_strategy-pdf.pdf

³⁹ ავტორის შენიშვნა: იგულისხმება „ევროკავშირის წესებისა და კანონების ერთობლიობის მიღების ეროვნული პროგრამა (NPAA)

მიზნით, რომ ევროპელი კოლეგებისთვის ეჩვენებინა სერბეთის ინსტიტუციური მზაობა განეხორციელებინა შიდა კანონმდებლობის *acquis communautaire*-თან ჰარმონიზაციისთვის საჭირო რეფორმები.⁴⁰ სტრატეგია მიმოიხილავს პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიტერიუმებს და *acquis communautaire*-ის თემების მიხედვით, დეტალურად აანალიზებს ევროკავშირის წევრობით გამოწვეული ვალდებულებების შესრულების უნარიანობას.

2014 წელს კანდიდატის სტატუსის მინიჭების შემდეგ, სერბეთმა დაამტკიცა „*acquis communautaire*-ის მიღების ეროვნული პროგრამა“ (NPAA 2014-2018), რომელიც წარმოადგენდა ევროკავშირში ინტეგრაციის ეროვნული პროგრამის გაგრძელებას და მიზნად ისახავს კოპენჰაგენის კრიტერიუმებითა და *acquis communautaire*-ით განსაზღვრული წევრობისათვის საჭირო პირობების შესრულებას. დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს *acquis*-ის სექტორულ მიმართულებებსა და ამ კუთხით განსახორციელებელ რეფორმებს.

აქვე, აღსანიშნავია, რომ ევროკავშირი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სერბეთის გაწევრიანების გზაზე ამ უკანასკნელის კოსოვოსთან ურთიერთობებს. მოლაპარაკებების 35-ე თავი სწორედ კოსოვოსთან ურთიერთობების ნორმალიზებას გულისხმობს. გავრცელებულია შეხედულება, რომ თუ სერბეთი კოსოვოს არ აღიარებს, ის ვერასოდეს გახდება ევროკავშირის წევრი. 2011 წელს, გაფართოების საკითხების ევროკომისარმა აღნიშნა, რომ კოსოვოს აღიარება არ არის სერბეთის ორგანიზაციაში გაწევრიანების წინაპირობა. თუმცა, რეგიონში სტაბილურობა და უსაფრთხოება დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნების ინტეგრაციის გზაზე უმთავრესი პრიორიტეტია.⁴¹ მსგავსი მითები ვრცელდება ჩვენ შემთხვევაშიც, რომ თუ თბილისი არ აღიარებს ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებლობას, ჩვენ ვერ გავხდებით ევროკავშირის წევრი ქვეყანა. ეს არცერთ ეტაპზე არ წარმოადგენს სინამდვილეს.


ისტორიული კონტექსტიდან გამომდინარე, სერბეთი და ქვეყნის მოსახლეობა მოწყვლადია რუსული გავლენისა და ანტი-დასავლური პროპაგანდისადმი. მნიშვნელოვანი საკითხი,

⁴⁰ National Program for Integration of the Republic of Serbia into the European Union (NPI). ხელმისაწვდომია: <http://www.seio.gov.rs/eng/information/questions-and-answers/national-program-for-integration-of-the-republic-of-serbia-into-the-european-union-npi/>

⁴¹ Recognition of Kosovo was not a formal requirement for the process of European integration of Serbia. ხელმისაწვდომია: <https://www.sns.org.rs/en/novosti/vesti/recognition-kosovo-not-precondition-eu>

რაც კარგად უნდა გვესმოდეს სერბეთის გამოცდილებაზე საუბრისას არის ევროინტეგრაციის პროცესში საზოგადოებრივი აზრისა და მხარდაჭერის მაღალ დონეზე შენარჩუნება. თუ სტატისტიკას დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ ევროკავშირში გაწევრიანების მხარდაჭერთა რიცხვი სერბეთში 2009 წლისთვის 76 პროცენტი იყო, მაშინ როდესაც 2015 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 54%-მდე შემცირდა⁴². 2016 წელს, სერბეთის ევროპული ინტეგრაციის ოფისმა ჩაატარა კიდევ ერთი გამოკითხვა, რომლის შედეგებმაც აჩვენა, რომ ევროკავშირში გაწევრიანების მომხრეთა რაოდენობა შემცირდა 47%-მდე, ხოლო იმ გამოკითხულთა რაოდენობამ, რომელიც ევროკავშირისადმი ნეგატიურად არის განწყობილი 31% შეადგინა.⁴³ უკანასკნელი, 2017 წელს ჩატარებული კვლევის შედეგად, რუსული პროპაგანდა გამოწვევაა საქართველოში. ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ გამოკითხულთა 42 პროცენტის მოსაზრებით, საბჭოთა კავშირის დაშლა ცუდი მოვლენა იყო, ხოლო 48 პროცენტს საპირისპირო მოსაზრება აქვს⁴⁴. 2017 წლის ივნისში გამოქვეყნებული მიხედვით, დღეისათვის საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას მხარს უჭერს გამოკითხულთა 77%⁴⁵. აუცილებელია, რომ იმ გამოწვევების ფონზე, რაც დღეს თბილისს აქვს, კერძოდ - რუსული პროპაგანდა, ოკუპაცია, ევროინტეგრაციის პროცესში შესაძლო „გადაღლა“, გაძლიერდეს ხელისუფლებისა და სამოქალაქო სექტორისა საქმიანობა და რეალური თანამშრომლობა ევროპული არჩევანის პოპულარიზებისა და ცნობიერების ამაღლების მიმართულებით.

სერბეთის ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესი



⁴² Survey of Serbian Public Opinion. ხელმისაწვდომია:

http://www.iri.org/sites/default/files/wysiwyg/serbia_november_2015_poll_public_release.pdf

⁴³ Public Opinion Poll (December 2016). ხელმისაწვდომია:

http://www.seio.gov.rs/upload/documents/nacionalna_dokumenta/istrazivanja_javnog_mnjenja/opinion_poll_december_16.pdf

⁴⁴ ხელმისაწვდომია: <http://caucasusbarometer.org/ge/na2017ge/USSRDISS/>

⁴⁵ ხელმისაწვდომია: <http://caucasusbarometer.org/ge/nj2017ge/JOINEU/>

აღსანიშნავია, რომ ევროკომისიის დასავლეთ ბალკანეთის სტრატეგიის დრაფტის მიხედვით, სერბთის შემთხვევაშიც, 2023 წლისთვის გაწევრიანების მოლაპარაკებების დასრულება ნავარაუდევია.

ბოსნია და ჰერცეგოვინა

ბოსნია და ჰერცეგოვინა, კოსოვოსთან ერთად ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე პოტენციური კანდიდატი ქვეყნების სიაში ხვდება. ახალგაზრდა, რთული პოლიტიკური კონიუნქტურის მქონე სახელმწიფოს ევროინტეგრაციის პროცესი შედარებით ნელი ტემპით განვითარდა. სხვადასხვა გამოწვევის გამო, მათ შორის ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით, 2008 წელს ხელმოწერილი ასოცირებისა და სტაბილიზაციის ხელშეკრულება სრულად ძალაში მხოლოდ 2015 წელს შევიდა.

2008 წლიდან სარაევო ოფიციალურად სარგებლობს IPA-ს დახმარებით და აგრძელებს რეფორმების გატარებას IPA-II-ის ფარგლებშიც. ამავე წელს ბოსნია-ჰერცეგოვინა იწყებს მოლაპარაკებებს ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის დამყარების შესახებ, რომელიც ძალაში 2010 წლის დეკემბერში შედის⁴⁶.

2012 წელს ბოსნია-ჰერცეგოვინამ და ევროკავშირმა დაიწყეს მაღალი დონის დიალოგი გაწევრიანების შესახებ. 2016 წლის 15 თებერვალს, ბოსნიამ ოფიციალურად წარადგინა განაცხადი ევროკავშირის წევრობაზე, თუმცა ევროკომისიას ჯერ-ჯერობით არ მიუწოდებია საკუთარი მოსაზრება და დასკვნა საბჭოსთვის ბოსნია და ჰერცეგოვინის კანდიდატად ქვეყნად წარდგენის შესახებ.⁴⁷ თუმცა, აღსანიშნავია, რომ ევროკომისიის დასავლეთ ბალკანეთის სტრატეგიის დრაფტის მიხედვით, 2019 წელს იგეგმება, რომ ბოსნია და ჰერცეგოვინა ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსს მიიღებს.

ბოსნია და ჰერცეგოვინას შემუშავებული აქვს „*ევროკავშირში ინტეგრაციის ეროვნული სტრატეგია*“⁴⁸; რაც კოსოვოსთან ერთად, ასევე ქმნის პოტენციური კანდიდატების მიერ მსგავსი დოკუმენტის ქონის პრეცედენტს. 200 გვერდიან სტრატეგია ყველა ის ძირითადი

⁴⁶ ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/countries/detailed-country-information/bosnia-herzegovina_en

⁴⁷ Bosnia and Herzegovina, European Neighbourhood Policy and Enlargement Negotiations. ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/countries/detailed-country-information/bosnia-herzegovina_en

⁴⁸ EU Integration Strategy of Bosnia and Herzegovina. ხელმისაწვდომია: <http://riu.parco.gov.ba/wp-content/uploads/2016/09/eu-integration-strategy-of-bosnia-and-herzegovina.pdf>

მიზანი და გამოწვევაა ასახული, რომელიც ქვეყანას ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე ხვდება.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სტრატეგიის ის ნაწილი, სადაც საუბარია იმ სარგებელზე, რომელსაც სახელმწიფო არა მარტო გაწევრიანებით, არამედ გაწევრიანების წინა პროცესში, ევროკავშირის რეგულაციებისა და სტანდარტების შესრულებით მიიღებს. სტრატეგიული დოკუმენტის საკმაოდ დიდი ნაწილი ეთმობა ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანების მზაობის შეფასებას, სხვადასხვა მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული სფეროების მდგომარეობის ანალიზის გათვალისწინებით. დოკუმენტში, რომელიც როგორც სახელმწიფო, ისე საჯარო სექტორის წარმომადგენლებისა და ექსპერტთა ჯგუფების დახმარებით შემუშავდა, თავმოყრილია ის ძირითადი მიზნები, რომლის მიღწევასაც დასავლეთ ბალკანური სახელმწიფო ევროკავშირთან დასაახლოვებლად გეგმავს. ხაზგასმულია ზოგადად, პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების გატარების აუცილებლობა და ამასთანავე, გამოყოფილია კონკრეტული საკითხები ისეთი სფეროების მიმართულებით, როგორებიცაა: 1) ბრძოლა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ; 2) სოფლის მეურნეობის განვითარება; 3) სატრანსპორტო და სავაჭრო ინფრასტრუქტურის განვითარება და ა.შ.⁴⁹

კოსოვო

2008 წლის 17 თებერვალს კოსოვო სერბეთს ცალმხრივი დამოუკიდებლობის აქტით გამოეყო⁵⁰, რასაც ხანგრძლივი და რთული ისტორია უძღოდა წინ. 90-იანი წლების ბოლოს სერბეთის ნაციონალისტური რეჟიმის ბრძოლამ ეთნიკური ალბანელების წინააღმდეგ ათასობით ადამიანი იმსხვერპლა და ლტოლვილად აქცია. სლობოდან მილოშევიჩის რეჟიმის მიერ კოსოვოელთა წინააღმდეგ განხორციელებულ აგრესიას NATO-ს ჯარების მიერ ბელგრადის დაბომბვა და კოსოვოში საერთაშორისო კონტროლის დამყარება მოჰყვა.⁵¹

⁴⁹ Ibid.

⁵⁰ Kosovo Declaration of Independence, February 17, 2008. ხელმისაწვდომია: <http://www.assembly-kosova.org/?cid=2,128,1635>

⁵¹ NATO's role in relation to the conflict in Kosovo. ხელმისაწვდომია: <http://www.nato.int/kosovo/history.htm>

დღეისათვის კოსოვოს სუვერენიტეტს 110 ქვეყანამ აღიარებს, მათ შორის ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ევროკავშირის 23-მა წევრი სახელმწიფო, თურქეთი, ავსტრალია, საუდის არაბეთი და ა.შ.⁵² გაეროს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, კოსოვოს, დამოუკიდებლობის ცალმხრივი გამოცხადებით, საერთაშორისო სამართალი არ დაურღვევია.⁵³ მიუხედავად ამისა, ევროკავშირის 5 წევრი სახელმწიფო (კვიპროსი, საბერძნეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი და ესპანეთი) არ აღიარებს კოსოვოს სუვერენიტეტს.

2000-იანი წლებიდან კოსოვო რეკონსტრუქციის, განვითარებისა და სტაბილიზაციისათვის (CARDS) ევროგაერთიანების დახმარებით სარგებლობდა⁵⁴, რომელიც 2007 წელს გაწევრიანებამდელი დახმარების (IPA) პროგრამით შეიცვალა და ფარავდა ისეთ სფეროებს, როგორცაა ინსტიტუციური განვითარება, სასაზღვრო თანამშრომლობა, რეგიონული განვითარება, მათ შორის სატრანსპორტო, გარემო, სასოფლო-სამეურნეო და ა.შ.

2008 წელს, კოსოვოს მიერ დამოუკიდებლობის აღიარებამ თვისობრივად შეცვალა ურთიერთობები ევროკავშირთან⁵⁵. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ევროკავშირის კანონის უზენაესობის მისია კოსოვოში (EULEX), რომლის მიზანია, ქვეყანაში კანონზე დაფუძნებული სტაბილურობისა და წესრიგის მხარდაჭერა.⁵⁶ ასევე, მნიშვნელოვანია IPA II რომელიც 2014-2020 წლებში კოსოვოსთვის 645.5 მილიონი ევროს გამოყოფას ითვალისწინებს, ისეთი სფეროების მხარდასაჭერად, როგორცაა დემოკრატია, კანონის უზენაესობა, განათლება, რეგიონული განვითარება, ენერჯო სექტორი და ა.შ.⁵⁷

2012 წლიდან კოსოვო აწარმოებს დიალოგს ევროკავშირთან ვიზა-ლიბერალიზაციის თაობაზე. 2013 წელს, კოსოვოს მთავრობამ დაამტკიცა ვიზა-ლიბერალიზაციის სამოქმედო

⁵² COUNTRIES THAT HAVE RECOGNIZED KOSOVO AS AN INDEPENDENT STATE. ხელმისაწვდომია: <http://www.beinkosovo.com/countries-that-have-recognized-kosovo-as-an-independent-state/>

⁵³ Kosovo's independence is legal, UN court rules, The Guardian, 22.07.2010. ხელმისაწვდომია: <https://www.theguardian.com/world/2010/jul/22/kosovo-independence-un-ruling>

⁵⁴ Final Evaluation Report. 2009. Retrospective Evaluation of the CARDS Programmes. Country: Kosovo. Sectors: Justice, Energy, Economic development and Rural development. European Commission, Enlargement Directorate-General Directorate E-Resources – Unit E4 Evaluation. ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/sites/near/files/pdf/financial_assistance/cards/evaluation-reports/05-fr_cards_kosovo_160709.pdf

⁵⁵ 2009 წელს ევროკომისიამ ღიად დააფიქსირა, რომ კოსოვოს, დასავლეთ ბალკანეთის სხვა სახელმწიფოებთან მსგავსად, გააჩნდა ევროპული პერსპექტივა. ხელმისაწვდომია: https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/091014_kosovo_study_en.pdf

⁵⁶ European Union Rule of Law Mission in Kosovo. ხელმისაწვდომია: <http://www.eulex-kosovo.eu/?page=2,44>

⁵⁷ Kosovo - financial assistance under IPA II. ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/instruments/funding-by-country/kosovo_en

გეგმა, რომლითაც განისაზღვრა ამ მიზნის მიღწევის მთავარი ამოცანები. კორუფციასთან და საზღვრების დემარკაციასთან დაკავშირებული რამდენიმე კრიტერიუმის დაკმაყოფილების შემდეგ კი კოსოვოს მოქალაქეებს შეეძლება თენგენის ზონის ქვეყნებში უვიზოდ გადაადგილება⁵⁸.

რაც შეეხება სტრატეგიულ დოკუმენტებს, აღსანიშნავია, რომ კოსოვომ 2013 წელს თავად შეიმუშავა „ევროკავშირში ინტეგრაციის ეროვნული სტრატეგია“. სერბეთისგან განსხვავებით, დოკუმენტი ორიენტირებულია არა უშუალოდ aquis-ის მიღებაზე, არამედ კარგი მმართველობისა და საბაზრო ეკონომიკის პრინციპების განვითარებაზე და ამავდროულად, ასახავს იმ ძირითად ხედვებსა და მიზნებს, რომელიც კოსოვოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესს დააჩქარებს და ხელს შეუწყობს იმ სირთულეებისა თუ გამოწვევების აღმოფხვრას, რომლის წინაშეც დღეს ქვეყანა იმყოფება. ხაზგასასმელია, რომ აღნიშნული დოკუმენტის მთავარი მიზანი ევროკავშირში ინტეგრაციისთვის კოსოვოს უკეთ მომზადებაა.⁵⁹

კოსოვოს ევროპული ინტეგრაციის ეროვნული სტრატეგია 5 ძირითად მიზანს გამოყოფს:

1. **ეფექტური მმართველობა** - ხაზს უსვამს შეთანხმებული და თანმიმდევრული პოლიტიკური სისტემისა და მართლმსაჯულების მნიშვნელობას, რაც მიიღწევა გაუმჯობესებული სტატეგიული დაგეგმარებისა და მონიტორინგის მექანიზმების საშუალებით.
2. **ბრძოლა კორუფციისა და ორგანიზაციული დანაშაულის წინააღმდეგ** - ფოკუსირდება ინსტიტუტების და მათი მექანიზმების გაძლიერებაზე კორუფციისა და ორგანიზაციული დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად. იგი ასევე, მიზნად ისახავს ამ სფეროში კანონის უზენაესობისა და მართლმსაჯულების გასაუმჯობესებლად პოლიტიკისა და კანონმდებლობის ეფექტურად აღსრულებას.
3. **ეკონომიკური განვითარება** - ევროპული სტანდარტების შესაბამისი უნდა გახდეს, რისთვისაც მნიშვნელოვანია კონკურენტუნარიანი საბაზრო ეკონომიკა, კარგი საინვესტიციო პირობები და მოქალაქეების თავისუფალი გადაადგილება. კოსოვომ

⁵⁸ Visa Liberalization Process. ხელმისაწვდომია:

<http://www.mei-ks.net/en/visa-lib-process>

⁵⁹ National Strategy for European Integration Kosovo 2020. ხელმისაწვდომია:

http://www.kryeministri-ks.net/repository/docs/National_Strategy_for_European_Integration_Kosovo_2020_ENG.PDF

უნდა უზრუნველყოს მაკრო-ფისკალური მდგრადობა, შიდა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და კერძო სექტორისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა.

4. **დაინტერესებული მხარეების ჩართულობა** - მნიშვნელოვანია დაინტერესებული მხარეების, სამთავრობო თუ არასამთავრობო სექტორის ჩართულობა, პოლიტიკის გაუმჯობესებისა და მონიტორინგის მიზნით, რისთვისაც საზოგადოების მთავარი საჭიროებები უნდა იქნას გათვალისწინებული. აღნიშნული მიზნის მისაღწევად საჭიროა მთლიანად პროცესში დაინტერესებულ მხარეებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის უზრუნველყოფა.
5. **გაფართოებული (სახელმწიფო) ურთიერთობები ევროკავშირთან** - ეს ამოცანა განსაზღვრავს კოსოვოს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის ფოკუსს. ამ მიზნის მისაღწევად პირველი, რაც ქვეყანას სჭირდება არის პროგრესი ევროკავშირის კრიტერიუმების დასაკმაყოფილებლად. აქვე, აღსანიშნავია სირთულეები, რომელსაც კოსოვოს ევროკავშირის 5 ქვეყნის არალიარება უქმნის.⁶⁰

კოსოვოს ევროინტეგრაციის პროცესის მიმოხილვამ გვაჩვენა, რომ ყველა გამოწვევის მიუხედავად, ქვეყანას აქვს კონკრეტული სტრატეგია ევროკავშირთან მიმართებით. დოკუმენტით განსაზღვრული მიზნები და ამოცანები ინტეგრაციის გზაზე ეფექტურობის გაზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

აღსანიშნავია, რომ ევროკომისიის დასავლეთ ბალკანეთის სტრატეგიის დრაფტის მიხედვით, 2019 წლისთვის საჭირო იქნება, რომ სერბეთმა და კოსოვომ ურთიერთობების ყოვლისმომცველ დარეგულირებას მიაღწიონ, რაც გზას გაუხსნის კოსოვოს შემდგომ მნიშვნელოვან პროგრესს ევროინტეგრაციისაკენ.

დასკვნა და დაკვირვებები

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ როგორც კანდიდატ ასევე, პოტენციურ კანდიდატ ქვეყნებს აქვთ წარმოდგენილი კომპლექსური, დეტალური და ყოვლისმომცველი

⁶⁰ National Strategy for European Integration Kosovo 2020. ხელმისაწვდომია:

http://www.kryeministriks.net/repository/docs/National_Strategy_for_European_Integration_Kosovo_2020_ENG.PDF

სამოქმედო სტრატეგია, საგზაო რუკა, გეგმა თუ ხედვა ევროკავშირში გაწევრიანებისთვის. საგზაო რუკებისა და სტრატეგიების შემუშავება თითქმის ყველა შემთხვევაში რამდენიმე მიზანს ემსახურება: ა) დოკუმენტი ეყრდნობა გაწერილ ამოცანებს, მოკლევადიან და გრძელვადიან მიზნებს, რაც ევროინტეგრაციის პროცესს უფრო სტაბილურსა და მიზანმიმართულს ხდის; ბ) ხშირ შემთხვევაში, სტრატეგიის შემუშავება წარმოადგენს გზავნილს ევროკავშირისათვის, რომ ქვეყანას გააჩნია ინსტიტუციური და პოლიტიკურ მზაობა ჩაერთოს ევროკავშირის გაწევრიანების რთულ პროცესში. დოკუმენტების უმრავლესობა წარმოადგენს თვითშეფასების მექანიზმს და სხვადასხვა სფეროში არსებული ხარვეზებისა თუ გამოწვევების აღმოჩენის შესაძლებლობას; გ) მსგავსი ტიპის დოკუმენტის შემუშავება მოითხოვს თითქმის ყველა სახელმწიფო ინსტიტუტის, ექსპერტული და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას, რაც საკითხისადმი ზოგად ცოდნასა და კოორდინაციას ზრდის.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დასავლეთ ბალკანეთის ყველა სახელმწიფომ სტრატეგიის შემუშავება დაიწყო ევროკავშირის წევრობაზე განაცხადის გაკეთებამდე. უფრო მეტიც, სახელმწიფოთა ნაწილმა აღნიშნულ დოკუმენტზე მუშაობა სტაბილიზაციისა და ასოცირების ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე დაასრულა. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია სერბეთის მაგალითი, რომელმაც კანდიდატი სახელმწიფოებისთვის აუცილებელი *„ევროკავშირის წესებისა და კანონების ერთობლიობის მიღების ეროვნული პროგრამა“* (NPAA), კანდიდატის სტატუსის მიღებამდე 4 წლით ადრე შეიმუშავა. სტრატეგიაზე მუშაობისას სხვა სახელმწიფოებმაც ძირითადად, იხელმძღვანელებს *“acquis communautaire-თან“* თავსებადობის პრინციპით, რათა კანდიდატის სტატუსის მიღების შემდეგ მომზადებულნი შეხვედროდნენ ევროკავშირში გაწევრიანების ოფიციალურ მოლაპარაკებებს.

არ არსებობს ერთი კონკრეტული რეცეპტი ან უტყუარი გზა, რომელსაც უნდა დაეყრდნოს სახელმწიფო ინსტიტუტები და გადაწყვეტილების მიმღები პირები, მაშინ როდესაც საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესზე დადგება საუბარი. დასავლეთ ბალკანეთის ევროპული გზის გაანალიზება და ზოგადი მიგნებების ქართულ რეალობასთან ადაპტირება მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება სახელმწიფოს ევროკავშირში გაწევრიანების საგზაო რუკის შემუშავებისთვის. ბალკანურმა სახელმწიფოების მაგალითმა გვაჩვენა, რომ უმეტესობა მათგანს ასოცირების შეთანხმება რატიფიცირებულიც კი არ ჰქონდა, როდესაც წევრობაზე გააკეთეს განაცხადი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ყველა

მათგანს გააჩნდა პოლიტიკური დაპირება, რომ გახდებიან ევროკავშირის წევრები. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული სახელმწიფოების ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესი განსხვავებული ტემპით, პოლიტიკური კონტექსტითა და ინდივიდუალური მახასიათებლით მიმდინარეობს, ფაქტია, რომ ყველა მათგანს აქვს ევროკავშირში დროში გაწერილი და ყოვლისმომცველი სტრატეგია.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- 1) საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების საგზაო რუკის შემუშავებისას შეიქმნას სამუშაო ჯგუფი საგარეო საქმეთა სამინისტროს, პრემიერ მინისტრის აპარატისა და სხვა შესაბამისი უწყებების ჩართულობით, რომლის ერთ-ერთი ამოცანა კანდიდატი და პოტენციური კანდიდატი ქვეყნების გამოცდილების სიღრმისეული შესწავლა და იმ ჯგუფებთან ურთიერთობების დამყარება იქნება, რომლებიც სამუშაო დონეზე არიან ჩართულნი ევროკავშირთან მოლაპარაკებების პროცესში;
- 2) მთავრობამ და პარლამენტმა, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და Think Tank-თან თანამშრომლობით დაიწყოს მუშაობა ევროპის კავშირში გაწევრიანების - საგზაო რუკაზე, სადაც საქართველოს ევროკავშირთან თანამშრომლობის შესაბამისი ეტაპები გაიწერება, მათ შორის განისაზღვრება ის ოპტიმალური თარიღი, როდესაც საქართველომ უნდა გააკეთოს განაცხადი ევროკავშირის წევრობაზე და დაიწყოს შესაბამისი პროცედურები;
- 3) საგზაო რუკის შემუშავების პროცესში, მთავრობამ მოდელად შესაძლოა გამოიყენოს დასავლეთ ბალკანური ქვეყნების მიერ შემუშავებული სამოქმედო სტრატეგიები;
- 4) შესწავლილ იქნას ევროინტეგრაციის პროცესში დასავლეთ ბალკანეთის წარმატებული სახელმწიფოების, მონტენეგროსა და სერბეთის გამოცდილება;
- 5) გაგრძელდეს ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების ზედმიწევნით შესრულება;
- 6) წინმსწრებად შეფასდეს acquis-სთან თავსებადობა და პოლიტიკური, ეკონომიკური და ადმინისტრაციული კრიტერიუმების მიმართ ქვეყნის მზადყოფნის საკითხი;

საქართველოს პარლამენტს:

-)] გააქტიურდეს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე დისკუსია და საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების სურვილი აისახოს ყოველწლიურ ერთობლივ რეზოლუციებსა თუ დეკლარაციებში;
-)] პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა და ევროინტეგრაციის კომიტეტებმა გააძლიერონ ძალისხმევა პარლამენტში საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ დისკურსის გააქტიურების მიმართულებით;
-)] საგარეო და ევროინტეგრაციის კომიტეტმა აამუშავოს მთავრობის პარლამენტისადმი ანგარიშვალდებულების მექანიზმი ევროკავშირში გაწევრიანების პოლიტიკის მიმართულებით.

სამოქალაქო სექტორს:

-)] გააქტიურდეს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივის შესწავლა და ამ მიმართულები ცოდნის გაღრმავება კვლევითი საქმიანობით, კონფერენციებისა თუ მრგვალი მაგიდის შეხვედრების გამართვით;
-)] დამყარდეს პარტნიორული ურთიერთობები დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნების იმ კვლევით ორგანიზაციებთან და Think Tank-ებთან რომლებიც ჩართულნი იყვნენ თავიანთი ქვეყნების ევროკავშირში გაწევრიანების საგზაო რუკის შემუშავების პროცესში;
-)] საექსპერტო წრეებმა უნდა გაახშირონ ევროკავშირში გაწევრიანების დისკურსი სხვადასხვა, მათ შორის მედიისა და აკადემიური პლატფორმების გამოყენებით.
-)] გაიზარდოს ამ საკითხზე მომუშავე სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს შორის კოორდინაცია, იმ მიზნით, რომ მოხდეს საერთო გზავნილისა და ხედვის ფორმულირება;
-)] ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივაზე განახორციელოს საგანმანათლებლო და ცნობიერების ასამაღლებელი აქტივობები სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის.